



ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ გ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 121

“— 17 —” მარტი 2023 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. №1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, №41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.03.034.016; №01.14.03.034.011; №01.14.03.034.015; №01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 მარტის №23.323.373 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვ.ფშაველას I შეს. №1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, №41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.03.034.016; №01.14.03.034.011; №01.14.03.034.015; №01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01230263164-67 (№0123040748-67; №01230443983-67; №01230543597-67; №01230603352-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მტკიცდება და შემდგომში განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქითშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

3. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებზე ს/კ №01.14.03.034.016; №01.14.03.034.015 ობიექტების ექსპლუატაციაში

მიღება არ მოხდეს, სანამ არ იქნება ექსპლუატაციაში მიღებული ს/კ №01.14.03.034.011-ზე განთავსებული შენობა-ნაგებობები. ასევე შესაძლებელია სამივე საკადასტრო ერთეულზე განთავსებული ობიექტების ერთდროულად ექსპლუატაციაში მიღება.


4. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას I შეს.1/43, ვაჟა ფშაველას ჩიხი #4ა
არსებულ

მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდი: №01.14.03.034.016,
01.14.03.034.011, 01.14.03.034.015, 01.14.03.034.002 და მიმდებარე
დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური
კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი
დავალება

თბილისი

2023 წელი

გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი.....	3
1.1	ტერმინთა განმარტება	3
1.2	სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები.....	3
1.3	ამოსავალი პირობები	6
2	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები	7
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქითმშენებლობითი სტანდარტები	7
2.1.1	გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:.....	7
2.2	ტერიტორიის დახასიათება	8
2.3	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.....	8
2.4	სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა	9
2.5	მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა	9
2.6	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტულების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა).....	10
2.7	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა	11
2.8	მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.....	11
2.9	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა	12
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;	13
3.1	საპროექტო ტერიტორიის არეალი.....	13
3.2	არსებული ქალაქითმშენებლობითი პარამეტრები.....	13
3.3	დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები	15
3.4	განაშენიანების რეგულირების ხაზები	17
4	განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი	17
5	შენიშვნები:.....	19

1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც ძირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განიმარტება შემდეგნაირად:

გეგმარებითი დავალება – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქითმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქითმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები

- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
- „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო**

- მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
4. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილება;
 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება N23.323.373 (15/03/2023);
 6. წინასაპროექტო კვლევა;
 7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი - N01230601698 01/03/2023 და N0123065251 06/03/2023;
 8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს წერილი - N01230612151 02/03/2023;
 9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილი #61-01230603280 01.03.2023.

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

კანონი

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო სამართლებრივი დოკუმენტები

საქართველოს კონსტიტუცია

კანონი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „საავტომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება

1. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

- 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები;
2. „მშენებლობის წებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება;
 3. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
 4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
 5. „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 ოქტომბრის N1-1/251 ბრძანება;
 6. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
 7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
 8. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
 9. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
 10. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდგრადი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო

1.3 ამოსავალი პირობები

განცხადების რეკვიზიტები

განცხადება	01230263164-67 26.01.2023 0123040748-67 09.02.2023 01230543597-67 23.02.2023 01230603352-67 01.03.2023
განმცხადებელი	ზაზა ჩაფიჩაძე
ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა	ქალაქი თბილისი, ვაჟა ფშაველას I შეს.1/43, ვაჟა ფშაველას ჩიხი #4ა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები	#01.14.03.034.016, 01.14.03.034.011, 01.14.03.034.015, 01.14.03.034.002 (რეგისტრირებული ფართობი 15 101 კვ.მ) და მიმდებარე დაურეგისტრირებული ტერიტორია (153 კვ.მ);
ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური კომპლექსი
ფუნქციური გამოყენება	საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული;
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	გეგმარებითი კარკასი (გვ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების მაღლი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი; შუალედური ზონა (შზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების საშუალო ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;
განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა	-
კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა	-
სპეციალური რეგიმები	-

არქიოლოგიური უბანი/ობიექტი	
ნორმატიული ფასის ზონა	უბანი - საბურთალო ქვეუბანი - საბურთალო ზონის ნომერი - 23 ნორმატიული ფასი - 255
გეგმარებითი შეზღუდვები	

2 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

2.1 გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები

- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი“.

2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგნილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება ძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და შენებლობაზე;
- „სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძანება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და უზარესობის განვითარების საგენერაციო

2.2 ტერიტორიის დახასიათება/საპროექტო წინადადება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისში, ვაჟა ფშაველას I შეს.1/43, ვაჟა ფშაველას II შეს. #4a არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდი: №01.14.03.034.016, 01.14.03.034.011, 01.14.03.034.015, 01.14.03.034.002 და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიისთვის;

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართი შეადგენს 15 280 კვადრატულ მეტრს აქედან 15 101 კვადრატული მეტრი რეგისტრირებული ფართია. 153 კვადრატული მეტრი აღებულია ტერიტორიის პერიმეტრზე იმისათვის, რომ მოხდეს საზღვრების კორექტირება ფაქტობრივი მდგომარეობით და საავტომობილო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. არსებული ფუნქციური ზონაა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6 (სსზ-6)

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის (შენობების) განთავსება, სადაც განთავსდება მრავალბინანი საცხოვრებელი, კომერციული და სხვა ტიპის დაწესებულებები. მოხდება პროფკავშირების შენობების დემონტაჟი, რომლებიც განთავსებულია 01.14.03.034.016; 01.14.03.034.015 საკადასტრო ერთეულებზე, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ტერიტორიაზე მოწყობა საცხოვრებელი, კომერციული და საოფისე ფართები, საოფისე ფართების უმეტესი ნაწილი გადაეცემა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას. დაგეგმილია "პროფკავშირების" შენობაზე არსებული მოზაიკის შენარჩუნება და მისი ერთეული საპროექტო ობიექტზე მოწყობა. საცხოვრებელი და სხვა ფართების შეფარდებაა 75/25 %;

გათვალისწინებულია 01.14.03.034.002 ნაკვეთზე არსებული მოზაიკის შენარჩუნება და მისი ერთეული საპროექტო ტერიტორიის შეფარდების შეფარდებაა 75/25 %;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 09 აგვისტოს #380 განკარგულებით 01.14.03.034.011 არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შეთანხმდა ხელშემწყობი ღონისძიებები; #01.14.03.034.011 მიწის ნაკვეთისთვის მოხდა განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის გადამეტება და აღნიშნული მიწის ნაკვეთი განვითარდება ნამატი კოეფიციენტით, 25 პროცენტი დაშვებული საცხოვრებელი ფუნქციით და 75 სხვადასხვა (კომერციული საოფისე, სავაჭრო და სხვა (ფუნქციური ზონის შესაბამისად).

საპროექტო ფუნქციური ზონა საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

საპროექტო შენობებისათვის დადგენილი სავალდებულო ავტოსადგომების მოწყობა სრულიად მიწის ქვეშ.

2.3 შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში (მათი არსებობის შემთხვევაში);

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სხივ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების განვითარების შესაძლებლობები და ინტერესები;
- დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქვეითე კავშირები მომიჯნავე კვარტლებთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამიჯვნა) თანახმად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში იქნება მშენებლობის წებართვის გაცემის საფუძველი;
- პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს განახლებული ვიზუალი;

2.4 სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა

- აღმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დემონტაჟის პროექტის გათვალისწინებით განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი;
- შენარჩუნებულ იქნეს "პროფესიონელი" შენობაზე არსებული მოზაიკა;

2.5 მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

- განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის ეტაპები და რიგითობა, სადაც პირველ ეტაპად დაიგეგმოს სექტორი N2-ში არსებული საპროექტო შენობების მშენებლობა ვინაიდან წარმოადგენს დაუმთავრებელ მშენებლობას, შემდგომ ეტაპად კი N1 სექტორში არსებული საპროექტო შენობების მშენებლობა;
- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;
- ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის, განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ V თავის შესაბამისად;

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის განთავსება და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილების, 28-ე მუხლის შესაბამისად;
- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის დადგენა;
- მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მოხდეს ყველა სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან;
- საზოგადოებრივი საზღვარი - ვაჟა-ფშაველას გამზირის, ვაჟა-ფშაველიას ჩიხის და ფ. თავაძის ქუჩების მხრიდან;

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით $H=L/Y$, სადაც:

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნული;

L წარმოადგენს დამორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y = წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

- ა) 0.35 – დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;
- ბ) 0.25 – სამრეწველო ზონებისათვის;
- გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

- 2.6 მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა)

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყნაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეულად ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;
- საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროებისამებრ წარმოდგენილი იქნეს შეთანხმებული გენგეგმა თბილისის სატრანსპორტო კომპანიისგან;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- წარმოსადგენია მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა თანხმობები /მინდობილობები

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და შემდგომში განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

2.7 ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა

- მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით და შეთანხმებულ იქნას შპს „თბილსერვის ჯგუფთან“;

2.8 მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა

- ნებართვის გაცემის თითოეული სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო

- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯარობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ მუხლი 24) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 9, პუნქტი 17-ის შესაბამისად.

2.9 ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- **ტერიტორიაზე ფიქსირდება არსებული ხაზობრივი ნაგებობები/საინჟინრო კომუნიკაციები, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებული გენგეგმები შეზღუდვის ბუფერების დატანით (ზომების მითითებით);**
 - ტერიტორიაზე გაედინება გაზსადენის მილები, განაშენიანების რეგულირები გეგმის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისი ენერჯისთან შეთანხმებული გენგეგმა შეზღუდვის ბუფერის დატანით (ზომების მითითებით);
 - საპროექტო დოკუმენტაციით როგორც ირკვევა ხდება 01.14.03.034.002 საკადასტრო ერთეულის გადაგეგმარება და მასზე განთავსდებული თელასის ჯიხურის ადგილმონაცვლეობა, გამომდინარე აქდან განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს მათთან შეთანხმებული გვნგეგმა, შეზღუდვის ბუფერი, მასთან მისასვლელი სერვიტულის დატანით (ზომების მითითებით);
 - ტერიტორიაზე გაედინება წყალსადენის და წყალარინების ქსელები, გამომდინარე აქდან განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შპს „ჯორჯიან უოთურ ენდ ფაუერთან“ შეთანხმებული გენგეგმა შეზღუდვის ბუფერის დატანით (ზომების მითითებით);
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყალარინების მომსახურების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების ხაგებწო

ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით, ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი;

- მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;
- ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად;
- ავტოსადგომების სრულად მოეწყოს მიწის ქვეშ;

3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;

3.1 საპროექტო ტერიტორიის არეალი

საპროექტო ტერიტორიის ფართობია 15 254 კვ.მ (აქედან რეგისტრირებული 15 101 კვ.მ, დაურეგისტრირებელი 153 კვ.მ);

3.2 არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

განაცხადის წარმოდგენის და განხილვის პერიოდში მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი იყო ფუნქციური ზონა: **საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);**

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სზ-2) სსზ-2 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს – 90%-ისა. იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული საპროექტო ობიექტებისთვის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
უზრანული განვითარების საგენტო**

საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესით განსაზღვრული ობიექტებისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია 100% საცხოვრებელი ფუნქციის განთავსება.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,5 */0,7	კოეფიციენტი	
კ-2	4,6	კოეფიციენტი	
კ-3	0,2/0,3*	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის ფართობი	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
შენიშვნა	<i>*მრავალბინიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღმატება 25 %-ს.</i>		

საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,5	კოეფიციენტი	
კ-2	2,5	კოეფიციენტი	
კ-3	0,3	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა	
მიწის ნაკვეთის ფართობი	მინიმალური ფართობი	600/700*	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	15/20 *	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	25/30*	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
შენიშვნა	<i>*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის</i>		

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს/ქუჩებს მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მომრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	-	კოეფიციენტი	
კ-2	-	კოეფიციენტი	
კ-3	0,1	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
და ზომები	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	
შენიშვნა	* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მოძირავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მხავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკიცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი		

3.3 დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1	0,5 *0,7	კოეფიციენტი	
კ-2	4,6	კოეფიციენტი	
კ-3	0,2/0,3*	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
და ზომები	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი	

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ხსია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
უზარესობის განვითარების საგენერაციო**

შენიშვნა	*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25 %-ს.
-----------------	---

სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი 15 280 კვ.მ

მიწის ნაკვეთების რაოდენობა – 3;

შენობების რაოდენობა 6;

სართულიანობა 1-35 სართული;

ნაკვეთი #1 -10 038 კვ.მ კ1-0.5, კ2-4.6, კ3-0.3 - საცხოვრებელი 75%, საზოგადოებრივი 25%;

ნაკვეთი #2 -5000 კვ.მ კ1-0.7, კ2-5.3, კ3-0.2 - საზოგადოებრივი 75% საცხოვრებელი 25%;

ნაკვეთი #3-63 კვ.მ კ1-0.7, კ2-4.6, კ3-0.2 - საინჟინრო ნაგებობა 100%;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 09 აგვისტოს #380 განკარგულებით #01.14.03.034.011 არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შეთანხმდა ხელშეწყობი ღონისძიებები:
 - მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2-4.6 დან 5. 3-მდე;
 - განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება განხორციელდეს იმგვარად, რომ საპროექტო არეალზე არ გავრცელდეს განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრისთვის დადგენილი რეგულირება;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-161 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის განსაზღვრულია მაკომპენსირებელი ღონისძიებები.

მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ღდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგუნდო

საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ.-სა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ეწ. თეთრ კარკასულ მდგრადარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა. გადასაცემი ფართობის ოდენობა განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

3.4 განაშენიანების რეგულირების ხაზები

- ა) წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას;
 - ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ-ს მიზნებს.
- 4 განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში - გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი**

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის აღმომი მოიცავს:

1. აღმომის სატიტულო მოთხოვნები: (ყდა, სატიტულო გვერდ(ები), საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი);
2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება);
3. გეგმარებითი დავალება;
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში);
5. გამოყენებული შემოკლებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გამიფვრა);
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფრვა; ზონირების ნაწილში მგგ დადგენილი ფერები);
7. გრაფიკული ნაწილის ნუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით);
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებები და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ);
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო**

- პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი;
10. დაგეგმვის ეფექტურობის (ხეირიანობის) შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში);
 11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
 12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები);
 13. სიტუაციური გეგმა;
 14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:5000–დან 1:10000–მდე);
 15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა;
 16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით);
 17. ფოტოფიქსაციის სქემა;
 18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება;
 19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება;
 20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება;
 21. გეგმარების შეზღუდვის ზონირება;
 22. ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება(არსებობის შემთხვევაში);
 23. ფუნქციური ზონირება;
 24. გეგმარების შემზღუდვავი კონკრეტული ზონირება;
 25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება;
 26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა;
 27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა;
 28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა;
 29. შენობა-ნაკებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა;
 30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა;
 31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა;
 32. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა;
 33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი;
 34. ავტოსადგომების განაწილების გეგმა;
 35. საპროექტო ტერიტორიის მომრაობის ორგანიზების სქემა მიმდებარე ქუჩებთან კავშირის ჩვენებით და პარამეტრების (მათ შორის ტროტუარის) მითითებით;
 36. მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზეც გაივლის დაეგეგმილი საგზაო ინფრასტრუქტურა;
 37. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების მირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
 38. წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე სახანძრო ჰიდრანტების მოწყობის გეგმა;
 39. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
 40. გარე განათების ქსელის სქემატური ნახატი;
 41. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა;
 42. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა;
 43. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
 44. ვერტიკალური გეგმარება;
 45. ვიზუალიზაცია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტო

46. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
47. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
48. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში).

5 შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://ms.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომერიატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბის ძირითადი დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საგენტოში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება მაღალია მისი გაცემის თარიღიდან სამი წლის განმავლობაში.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 23.323.373
15 / მარტი / 2023 წ.**

ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევი N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი N41-ის
მიმდებარედ არსებულ შიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016;
N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ
ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის
გეგმარებითი დაგალების პროექტის მოწოდების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სისტ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა
და ურბანული განვითარების სამსახურის 2023 წლის 26 იანვარს N01230263164-67 (N0123040748-67;
N01230443983-67; N01230543597-67; N01230603352-67) განცხადებით მიმართა ზაზა ჩაუიძემ (პ/ნ
21001010022) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევი N1/43; ვაჟა-ფშაველას
გამზირი N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016;
N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ
ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი
დაგალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევი N1/43; ვაჟა-
ფშაველას გამზირი N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:
N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე
დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 15 254 კვ.მ. აქედან,
რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 15 101 კვ.მ. ხოლო, დაურეგისტრირებული
ტერიტორიის - 153 კვ.მ. აღნიშნული 153 კვ.მ ტერიტორიის პერიმეტრზე გათვალისწინებულია იმისათვის,
რომ მოხდეს საშლელების კორექტირება ფაქტორით მდგრადირებით და საკურომისილო/საფეხმავლო
ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად.

„დედაქალაქის მიწათსარებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკოებელოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული
მიწათსარებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის : რეგის მიხედვით, საპროექტო
ტერიტორიაზე ვრცელდება საშოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). გამწვანებული ტერიტორიების ფანით მცირდე ნაწილზე შემოთავაზებულია
შიდა კვარტალური გამწვანება.

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია სრულად განვითარდება
საშლელობრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2)-ით; საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია
მრავალფუნქციური კომპლექსის (შენობების) მშენებლობა, სატაც განთავსდება მრავალმინიანი
საცხოვრებელი, კომერციული და სხვა დანიშნულების ობიექტები.

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, გათვალისწინებულია N01.14.03.034.016;
N01.14.03.034.015 საკადასტრო ერთეულებზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, ამასთან,
დაგეგმილია „პროფესიურების“ შენობაზე არსებული მოწაიების შენარჩუნება და მისი ერთ-ერთ საპროექტო
ობიექტზე მოწყობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება შენობა-ნაგებობები საცხოვრებელი,
კომერციული და საოფისე ფართებით, ფუნქციური გადანაწილება: საცხოვრებელი-75%, საშლელობრივი-
25%.



ასევე, პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია N01.14.03.034.002 საკადასტრო ერთეულზე არსებული სს „თელასის“ შენობის გადატანა/ადგილმონაცვლეობა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N380 განკარგულებით შეთანხმდა ხელშემწყობი ღონისძიებები .ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ: N01.10.13.015.114); ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ: N01.10.13.015.112), ქ. თბილისი, პეტრი იბერის ქ. N6, კორპუსი N14 (ს/კ: N01.10.06.001.115); ქ. თბილისი, აკადემიური ქ. N16 (კოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1, დიამის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ.25/29), (ს/კ: N01.10.10.025.029); ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ: N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტიერის ქ. N 45-47-49 (ს/კ: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10, (ს/კ: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „კუნტრ პოინტ ჯუფის“ (ს/ნ 204460957) და შპს „დელისი დეველოპმენტის“ (ს/ნ 405466865) მიმართ მისამართზე - ქ. თბილისი გამა-ფშაველას I შესახვევი N1/43 (ს/კ: N01.14.03.034.011) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2-4.6 დან 5. 3-მდე;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება განხორციელდეს იმგვარად, რომ საპროექტო არეალზე არ გავრცელდეს განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად მიწის ნაკვეთზე შენობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღრისთვის დადგენილი რეგულირება;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.03.034.011) მოხდა განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2-4.6 დან 5.3-მდე. ასევე, აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება შენობა-ნაგებობები, შემდეგი ფუნქციური გადანაწილებით: საცხოვრებელი ფუნქცია- 25%, საზოგადოებრივი ფუნქცია- 75% (კომერციული, საოფისე, საცაჭრო და სხვა).

საპროექტო შენობა-ნაგებობებისთვის ავტოსადგომების მოწყობა სრულად მოხდება მიწისქვეშა ტერიტორიაზე.

საგარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი 15 254 კვ.მ

მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 3;

შენობების რაოდენობა 6;

სართულიანობა 1-35 სართული;

ნაკვეთი N 1 -10 038 კვ.მ კ1-0.5, კ2-4.6, კ3-0.3 - საცხოვრებელი 75%, საზოგადოებრივი 25%;

ნაკვეთი N 2 -5000 კვ.მ კ1-0.7, კ2-5.3, კ3-0.2 - საცხოვრებელი 25%; - საზოგადოებრივი 75%;

ნაკვეთი N 3- 63 კვ.მ კ1-0.7, კ2-4.6, კ3-0.2 - საინჟინრო ნაგებობა 100%;

არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სსზ-6), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შიდა-კვარტალური გამწვანება.

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-16¹ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის განსაზღვრულია მაკომპენსირებელი ღონისძიებები.

მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ღევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტიშის დასკვნის საფუძველზე.

საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვრება აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ-ისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა.

მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით განისაზღვრება საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა (ფართობი დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო საშსახურის 2023 წლის 1 მარტის N01230601698 წერილის შესაბამისად, საშსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 2 მარტის N01230612151 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2023 წლის 1 მარტის N61-01230603280 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე მოუქცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 13 თებერვალს N01230443983-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

შემოადნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევი N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ.“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01230263164-67 (N0123040748-67; N01230443983-67; N01230543597-67; N01230603352-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევი N1/43; ვაჟა-ფშაველას გამზირი, N41-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.034.016; N01.14.03.034.011; N01.14.03.034.015; N01.14.03.034.002) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განვარგულების დანართის შესაბამისად.

2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარვასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.

3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარვასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა (ფართობი დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე).

4. გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბოლოებრივ პნევრომზე ჩარიცხვა განხორციელდეს შშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში პრეცენტი საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება, მისი შემცირების მიზნით, დაუშევებულია. შესაბამისად, მმენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

6. წინამდებარე განკარგულების პირების პუნქტით მოწოდებული განაშენირების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგვალების პროცესი დასამუშაცებლად გადაეგზავნოს ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (კიცე-მერი) ირაკლი ხმალაშეს.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქაღაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამა გალაძე





ესტონიაში მუნიციპალიტეტის მინისტრის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 0123065251
თარიღი: 06/03/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განხილა შიმდინარე წლის პირველი მარტის №01230603352-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/პ: 01.14.03.034.002, 01.14.03.034.015, 01.14.03.034.016, 01.14.03.034.011 და დაურეგისტრირებული ტერიტორია; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სსზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების თემატური ოუკა: შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სსზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დაგალების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა დადგებითი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე წლის პირველი მარტის №01230601698 წერილით.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ ზემოაღნიშნული პოზიციით.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

გამოყენებულია კვალიფიცირებული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ეალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01230601698
თარიღი: 01/03/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განხილა მიმდინარე წლის 23 თებერვლის №01230543597-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.03.034.002, 01.14.03.034.015, 01.14.03.034.016, 01.14.03.034.011 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სტ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სტ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტბ-1); გამწვანებული ტერიტორიების თემატური რეგა: შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურაბაზული გამწვანებული არეალები; სამოექტო ფუნქციური ზონირება: სტ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, გ-3 გამწვანების კოეფიციენტისა და სააგარიშო ფართობის მითითებით (**ნაკვეთი №1 = 0.3 = 3 011.4 მ²; ნაკვეთი №2 = 0.2 = 1 000 მ², ნაკვეთი №3 = 0.2 = 12.6 მ²; ჯამში - 4 024 მ²**), ასევე, ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის შესაბამისად განმცხადებელი საპროექტო ტერიტორიაზე გეგმაგა 169 მირი მწვანე ნარგავის (ხილ-კენკროვანი: ს/კ - 01.14.03.034.011: №11, №23, №44, №50, №55 - №56, №59, №149 - №150, №159; ს/კ - 01.14.03.034.015: №2 - №5; 25 სმ და ნაკლები დიამეტრის მქონე ნარგავი: ს/კ - 01.14.03.034.011: №1, №3 - №4, №6 - №10, №12, №15 - №22, №24 - №43, №45 - №49, №51 - №54, №57 - №58, №60 - №122, №124 - №133, №135 - №148, №151 - №158, №160; ს/კ - 01.14.03.034.016: №1 - №4; 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნარგავი: ს/კ - 01.14.03.034.011: ჭადარი - №2 დ=29; ჭადარი - №5 დ=29; განადური ვერხვი - №13 დ=42, №14 დ=74; ჭადარი - №123 დ=38; შავი ვერხვი - №134 დ=36; ს/კ - 01.14.03.034.002 მიმდებარევ: თუთა - №1 დ=126) გადარგვას.

გაცნობებთ, რომ სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალძინიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალება.

ასევე, გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 38-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტაქსიდის შენიშვნის ვეღმი თითოეულ ჯანსაღ მწვანე ნარგავს გადარგვასთან ერთად, ასევე, უნდა მიეთითოს გახარების შესაძლებლობაც.

აქვე, გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, საჭიროა განმცხადებელმა გაითვალისწინოს მათ მიმართ დადგენილი შეზღუდვები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინიშნორ კომუნიკაცია დატანილი იქნას დენდროლიგიურ პროექტზე და გეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

დამატებით, გამწვანების დეტალურ (დენდროლიგიურ) პროექტან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტურული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლიგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანებელს შერეული ტიპის წინგვისანი და ფოთლოვანი სე-მცენარეებით. მაღალპროდუქტურული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: **10-12 მ² ერთი მირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ზის სამსახურის მერია** (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩალი (ლევა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), **20-25 მ² დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების მერია** (2-5 მ² ან 1-2 მ² მდგრად და სამსახურის მერია)

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ზეების სიიდან, გარდა შევი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე პვიპაროსის სახეობების და ზიღ-კენკროგანი ზეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შევი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მაცნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და წმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერძების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ზეებს, ისინი ტენის მოყვარული მაღლე მშარდი ზეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც კითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სიგრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მიღების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ჩმირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტკრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და გერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰქერძი აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის აღერგის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი პაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენის ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეპორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის აღვის ზის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ზეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს **არანაკლებ 3.5 მეტრი**, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - **არანაკლებ 3 მეტრი**, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - **არანაკლებ 20 სანტიმეტრი**.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სატლორებელი, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური ალექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საქარო
სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ფრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სამსახური



წერილის ნომერი: 01230612151
თარიღი: 02/03/2023

2023 წლის 1 მარტის N 01230603352-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება
ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე
(ს/კ: 01.14.03.034.002; 01.14.03.034.015; 01.14.03.034.016; 01.14.03.034.011)
მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი
დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ შეისწავლა
წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის
ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის
გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

ინკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის
მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერება
მისაწვდომობის ფარგლებში და გააჩნია რეზერვი. ასევე მისაწვდომ საფეხმავლო
მანძილზეა მეტროც. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის
ფარგლებში, მიმდებარე ტერიტორია (ვაჟა-ფშაველას გამზირი) მოიაზრება, როგორც
ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეგავშირებული, ხშირი და
მაღალი მოცულობის ქსელი). მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება
მეორეული საქალაქო და მესამეული საუბრო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი.
აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის
მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ
განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საქვეითე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საკვლევი ტერიტორიის უმეტეს
ნაწილს ტროტუარი გააჩნია, თუმცა გვხვდება სარეაბილიტაციო მონაკვეთები.
აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის
სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, შესაბამისად, აღნიშნულ
ტერიტორიაზეც რეკომენდებულია ტროტუარების, პანდუსებისა და საქვეითე
გადასასვლელების მოწყობა, განახლება. აღნიშნული მდგომარეობა განხილული და
გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/
რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების
გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორიასთან
დამაკავშირებელი ძირითადი მიმდებარე გამტარი კვანძები ნაწილობრივ იტვირთება
პიკის საათებში, თუმცა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია
კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა.

დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საბატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება არანაკლებ 2,5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს არანაკლებ 6,0 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია პგალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ესიპ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01230603280**
თარიღი: **01/03/2023**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესაში: თურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსს
ბატონ ვიქტორ წილოსანს

ბატონო ვიქტორ,

სსიპ ქონების მართვის სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი 2023 წლის 14 თებერვლის N16-01230451589 (14.02.23 N12-01230452586-61) წერილი, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას I შესახვევში მდებარე მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ოეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის საკითხს.
ვინაიდან, საპროექტო არეალი მოიცავს დაურეგისტრირებელ სივრცეს, ითხოვთ სააგენტოს პიზიციის დაფიქსირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო, არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი სივრცე მოექცეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების საპროექტო არეალში და განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში 2023 წლის 13 თებერვალს N01230443983-67 ელექტრონული განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად.

პატივისცემით,

ირაკლი თაგართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია პალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

